საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 129
ივნისის 17, სამშაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 129
ივნისის 17, სამშაბათი 1903 წ.
1903

## ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 6 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი სააგარაკო ადგილები

„სანზეიძო“

თვისის მდებარეობით და ჰავით ჰჯობია ყველა საგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „პარკი“ ფიჭვისა და მუხისა, პირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:

სურამში: კნეინა ევა გიორგის ასულს ჩხეიძისას,

ტფილისში: „ივერიის“ რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში ერევნის მოედანი, სახლი № 2). (30—10).

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახური ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდგან დაქირავებულია სარდაფები პეტრუსა მაკაროვისა. კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზედ ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლშივე თვითონვე მიუტანს.

ღვინო ისყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.
კავკასიის ოფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (25—6.—21)

გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სთხოვს გორის მაზრის იმ ხელ-მოკლე და ღარიბ თავად-აზნაურთ, რომელთაც არ შეუძლიანთ თავიანთ ღონისძიებით აღზარდონ თვისი შვილები, ქალები, თუ ვაჟები, მიჰმართონ მას თხოვნით ქ. გორს 20 მკათათვემდე. თხოვნაში უნდა მოხსენებული იყოს ყოველივე გარემოება ოჯახისა: რა მამული აქვს, შემოსავალი მამულისა, რამდენი არიან ოჯახში და ვინ სადა სწავლობს, დედ-მამა ჰყავთ, თუ არა. (3—149—2)

ქ. სიღნაღში

კიევის უნივერსიტეტის ბავშთა კლინიკის ორდინატორი

ექიმი ა. ი. ბალარჯაშვილი.

ძიიღებს ზაფხულის განმავლობაში ოც აგვისტომდე ბავშვთა და შინაგან სენით შეპყრობილთ ავადმყოფთ. (5—144—4)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე ჰავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმეღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ხ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
გ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.
ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ხ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.
ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის მუსხელაშვილისა

(გედევანიშვილისეული)

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.
ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.
ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტეოიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)
46—8 ტელეფონი № 274

## ტფილისი

◆ ვაგზლის ქუჩაზე ერთობ დიდი მოძრაობაა, დილით და საღამოთი ეტლი-ეტლზე მიდი-მოდის, ამის გამო ქუჩა ისე გაიბურება ხოლმე მტვრის კორიანტელითა, რომ თვალთა წინ აღარა სჩანს-რა ხოლმე. ადამიანმა თუ ცხვირ-პირზე ხელსახოცი არ მიიფარა, ისე შეუძლებელია გავლა. კარგი იქნება ქალაქის გამგეობამ, ან პოლიციამ რამე იღონოს, რომ ამ ქუჩის მცხოვრებლებმა და მასზე გამვლელ-გამომვლელთა თავიდამ აიცილონ ეს ჯანმრთელობისათვის მავნებელი გარემოება: დაავალონ მაღაზიის პატრონებს, რომ უსათუოდ რწყავდნენ ამ ქუჩასა.

◆ როგორც ამბობენ, ქართული დრამატიული დასის მსახიობი და რეჟისორი ვ. გუნია აპირებს წარმოდგენების გამართვას დაბა ახალ-სენაკში, ბაზრობის დროს.

◆ ამ თვის 8, კვირა დღეს, მილოვის სახლის მესამე სართულის ბანზე გასულა ათი წლის ბავშვი თ. გ. აბაშიძისა. ერთ ალაგს ბანი მინით ყოფილა დაფარებული, რომ დერეფანში სინათლე იდგეს. ბავშვი შემდგარა ამ მინაზე, მინა ჩაიმტვრა და ბავშვი თითქმის შვიდი-რვა საჟნის სიმაღლიდამ ჩავარდა ძირს და დაეცა ტომეტის იატაკზე. ბავშვი ძიელ დაიბეჟა, ოთხი-ხუთი დღე უგონოდ იყო, მაგრამ გადაურჩა სიკვდილს. იმავე დღეს გონჩარის ქუჩაზე კიდევ ვიღაცის ბავშვი ჩამოვარდა ბანიდამ, თავ-პირი დაემტვრა, მაგრამ სიკვდილს ისიც გადარჩა.

◆ ერთობ უსუფთაოდ არის ელისაბედის ქუჩის დასაწყისი იქ, სადაც ავჭალის „კონკა“ დგება. აქ ვიღაც ნემეცს ლუდხანა აქვს, გამოდის ხალხი, ჰპილწავს იქაურობას, ხმის გამცემი არავინ არის. ამისთანა ალაგს რომ ასე აჭუჭყიანებენ ქუჩასა, სხვაგან, მიყრუებულს ქუჩებში, ვინ იცის რა არა ხდება.

◆ საქართველოს სინოდის კანტორაში და ეგზარხოსის კანცელარიაში ამ თვის პირველიდან სამსახური იწყება რვაზე და თავდება პირველ საათზე. ეგზარხოსის კანცელარიაში, ამის გარდა, მოსამსახურენი ორშაბათობითაც თავისუფალნი არიან მუშაობისაგან.

◆ წარსულ კვირას ვერის ერთ-ერთ ბაღში ტფილისის განათლებულ სომეხთა საზოგადოებამ გაუმართა სადილი ჩვენს პროფესორს ნ. მარს. სადილზედ დაესწრო სხვათა შორის ეჩმიაძინიდან განგებ ამისათვის ჩამოსული ორი ახალგაზდა სწავლული ბერი. სადილზედ მრავალი სიტყვა იქმნა წარმოთქმული. საპასუხო სიტყვა ნ. მარმა სომხურად წარმოსთქვა.

◆ 16 ივნისის ქალაქის საბჭოს კრებას წარედგინა 45 საქმე განსახილველად. უმთავრესი საქმეები ირის:

1) კომისიის მოხსენება მის იმპერატორებით უმაღლესობის დიდის მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულის ძეგლის დადგმის შესახებ;
2) ქალაქის თავის პასუხი ხმოსან ბაბოვის შეკითხვაზე: საჭიროა თუ არა წყლის გაყვანის საქმე კერძო სახელოსნოებს გარდაეცესო;
3) ქუჩების მორწყვა;
4) შრომის მოყვარე სამზრუნველო საზოგადოების შუამდგომლობა დანარჩენ გადასახდელის პატიების შესახებ;
5) საჯარო ვაჭრობის გამგის ამხანაგის ამორჩევა;
6) მუხრანის ხიდის გაკეთება;
7) ხმოსან ვართანოვის მოხსენება სასანიტარო და საექიმო დებულების გადასინჯვის შესახებ;
8) საჰიდრავლიკო სადგურის აგება მდ. მტკვარზე;
9) სარევიზიო კომისიის მოხსენება ლომბარდის 1902 წლის ანგარიშის შესახებ;
10) ტფილისის ხარჯთ-აღრიცხვა 1903 წ.;
11) გამგეობის მოხსენება ტფილისის მცხოვრებლების აღწერის შესახებ;
12) წყლის გამყვან კომისიის მოხსენება, მომატებისა და წყლის თვისების გაუმჯობესების შესახებ;
13) ხორცის დუქნების რეორგანიზაცია და სხვ.

◆ ადგილის სივიწროვის გამო ტფილისის სამხატვრო სასწავლებელში მოწაფეთა მიღება ძლიერ განსაზღვრული იქნება. 1904 წლისთვის ქანდაკების, ხუროთ მოძღვრების და მხატვრობისთვის სხვაგან მონახვენ სახლს.

◆ აბაშისა და ახალ-სენაკის სადგურებზე დიდი მოძრაობაა თურმე, რაკი მოახლოვდა დრო აბრეშუმის ჭიის პარკისა. ამ ჟამად პარკში იძლევიან თვრამეტ მანეთსაო.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ ბათუმის ვაჭართ განზრახვა აქვთ სამუდამოდ დააწესონ, ყოველთვის საღამოს რვა საათზე დაიკეტოს დუქნები და ამგვარად შეუმცირონ სამუშაო დრო თავიანთ მოსამსახურე ნოქრებს—ორი საათით დღეში. ნოქრების სიხარულს საზღვარი არა აქვს. მოთავეთ ამ კეთილ საქმისას ასახელებენ ბ-ნ საბაევს და ოცხელს.

◆ სამტრედიაში, ქუთაისის მაზრაში, ფასობს აბრეშუმის პარკი დღემდე 20—25 მანეთი ფუთი.

◆ უმფროსი ორდინატორი სულით ავადმყოფთა განყოფილებისა ტფილისის მიხეილის სამკურნალოსი ექიმ. დ. ი. ორბელი, როგორც შევიტყვეთ, ამ ზაფხულს მიდის სვანეთისაკენ იმ აზრით, რომ გამოიკვლიოს მიზეზი კრეტინობით ავადმყოფობის გავრცელებისა.

◆ ქალაქში საგრძნობელი სიცხეები დაიჭირა. ვისაც-კი რამ მოხერხება აქვს, მიდის ქალაქიდგან საგარაკოდ, სოფლებად. დანარჩენი აუარებელი ხალხი ეტანება ქალაქის განაპირა ადგილებს, ბაღებს, მტკვრის სანაპიროებს, მეტადრე კვირაობით, რომ სუფთა ჰაერი ჩაჰყლაპოს და მცირეოდენმა სიომ ნება მისცეს თავისუფლად ამოისუნთქოს. კვირა საღამოს იმოდენა ხალხი მიაწყდა მუშტაიდს, რომ ნევსის ყურწი არსად ჩავარდებოდა. ჰაერი შეგუბებული იყო, იდგა მტვერი და სუნთქვა გაძნელდა. მხოლოდ ღამის 11 საათზედ აგრილდა ცოტაოდენად. პატრა ხანს უკან წვიმაც მოვიდა და გაგრილა იქაურობა.

◆ ს. გურჯაანიდგან გვატყობინებენ, რომ ვენახებს მეტად მშვენიერი პირი უჩანს. ყვავილის დროს კარგი ამინდი ჰქონდათ და კვდავინდებურად მტევანი არ გაუთხელდათ. მუშა კაცი დღეში ოთხი აბაზი, მანათია და დედაკაცი სამი აბაზი. ნახნავ-ნათესი უფრო ნაკლებს იმედს იძლევა, რადგან ამინდმა თავ-თავის დროს ხელი არ შეუწუხოგო. ქურდ-ბაცაცებმა ილაჯი წაიღეს.

◆ ორ ახალი გასართობი ადგილი კიდევ მოემატათ ტფილისელებს.

20 ივნისს მზად იქნება „ბელვიუს“ ბაღი, რომელიც ყორღანოვის ქუჩაზეა და ვერის ხიდს გადასცქერის. ბაღში ახალი უკეთესი შენობანია აგებული. ბაღი ელექტრონით იქმნება განათებული. ბაღის იჯარადარს მოუწვევია მალორთსიელთა დასი წარმოდგენების გასამართავად და აგრეთვე შანსონეტარის მომღერალნი ქალნი. პირველი წარმოდგენა დასისა დანიშნულია 20 ივნისს..

## დრაგა—დედოფალი სერბიისა.

(ბელგრადელის მოგონებანი)

(დასასრული*)

მართალია ხალხმა აითვალწუნა დედოფალი, მაგრამ არც სულ უქომაგოდ დარჩენილა: ჟამ-გადასული საპატარძლოები, განსაკუთრებით უმაღლეს წოდებისა, თავს დასდებდნენ დრაგას გულისათვის. ან-კი რად არ უნდა ყოფილიყვნენ მადლიერნი, როცა არც ერთ დედოფალს დედა-მიწის ზურგზედ არ გაუწევია ის მზრუნველობა ამ ბედისაგან დავიწყებულ არსებათათვის, რაც დრაგამ გასწია: თითქმის არც ერთი თავისი ნაცნობი, ხანში შესული პატარძალი არ დაუტოვებია გაუთხოვარი; მაგრამ გათხოვება გათხოვებასა ჰქვიან,—ყველანი ახალგაზრდა ოფიცრებსა და კარის კაცებზე დაათხოვა. სხვათა შორის ერთი 52 წლის ფრეილინა 23 წლის ოფიცერს მიათხოვა, ერთი ოფიცერი კიდევ იძულებული შეიქმნა სამსახური დაეტოვებინა, რადგან მის მიერ არჩეული საცოლო, მეტად ხნიერი იყო და სამსახურის დაკარგვა არჩია, იმ დუხჭირთან შეკავშირებას. ერთის სიტყვით დრაგას გადედოფლება ხნიერ მანდილოსანთა გამეფება იყო. რასაკვირველია, ყველას კარგად ესმოდა, თუ რა აზრით ასაღებდა დედოფალი მოხუც ქალებს ახალგაზრდა ყმაწვილებზედ,—რომ ზოგად მოვლენად გაეხადნა თავისი შეუფერებელი მეუღლეობა. მაგრამ ეს ახლად შეძენილი მოკეთეები ბევრს ვერას შეჰმატებდნენ დედოფლის გაძლიერებას. დრაგამ ბევრ სხვა ღონისძიებასაც მიჰმართა, რომ ხალხის გული მოეგო, მაგრამ ვერა გააწყო-რა: უფრო და უფრო უნდოდ დაეწყო ყურება. როდესაც იმედი გადაუწყდა, სრულიად შესცვალა პოლიტიკა. თუ პირველ ხანებში მოფერება-დაყვავებით, საჩუქრებითა და თავმდაბლობით ეპყრობდა ხალხსა, ეხლა ყველას ზურგი შეაქცია და ამაყად დაუწყო ყურება, თითქოს იმის თქმა უნდოდა,—გახსოვდეთ, თქვე უმადურნო, რომ მე მბრძანებელი ვარ და თქვენ-კი ჩემი მონანიო. ასეთი მედიდურობა განსაკუთრებით მას შემდეგ დაეტყო დედოფალს, რაც პირველად ნიშს გადავიდნენ დროებით.

განზრახული იყო, რომ მეფე დედოფალს მთელი სერბია დაევლოთ, რათა დაეთვალიერებინათ ყოველივე კუთხე თავის სამეფოისა და ხალხსაც გაეცნო თავისი გვირგვინოსანი. ყველგან დიდ მზადებაში იყვნენ მათ დასახვედრად. ხალხი არასა ჰზოგავდა, რომ ღირსეულად დახვედროდა მეფე-დედოფალს, მარტო გზების შესაკეთბლად და დაბა-ქალაქების მოსართავად მცირე ფული არ დახარჯულა. სწორედ იმ დროს, როცა ყოველივე უკვე მზად იყო და დღე-დღეზე მოელოდნენ დიდებულ სტუმრებს, მოუვიდათ ამბავი, დედოფალი უქეიფოდ გამხდარა და მოგზაურობა მერმისისათვის გადაუდვიათო. რასაკვირველია, რაკი დედოფალმა არ ისურვა მოგზაურობა, აღარც მეფე წავიდა, რადგან დედოფალს ნუკრივით არა ჰშორდებოდა და უიმისოდ ფეხის გაგადადგმა არსად შეეძლო.

ხალხი დიდ უკმაყოფილობას აცხადებდა იდუმალად მეფე-დედოფალზე ასეთ უპატივცემულობასა და დაუზოგველობისათვის. თუმცა დედოფალი დარწმუნებული იყო, რომ მხედრობას სძულდა, მაგრამ თითქოს ყურადღების ღირსადაც არა სთვლიდა ამ გარემოებას და არავითარ ღონისძიებას არა ხმარობ-

---

*) იხ. „ივერია“, № 125.

და, რომ როგორმე შეემცირებინა ეს სიძულვილი. პირიქით ყოველი თავის მოქმედებით ამწვავებდა, აძლიერებდა ამ უკმაყოფილობას. მაგ., სადაც კი უნდა გაედგა ფეხი, უეჭველად ჯარები უნდა დაერაზმათ და დიდის გამოჩინებით მიჰგებებოდნენ მეფე-დედოფალს „ურა“-ს ძახილით, ერთის სიტყვით მოსვენება აღარა ჰქონდათ ჯარებს. წინად-კი სერბიის არც ერთ მეფეს, ან დედოფალს აზრადაც არ მოსვლია ჯარების გამოწვევა, თუ არ შესანიშნავ დღესასწაულის, ან სხვა რაიმე იშვიათ შემთხვევისათვის. იმ ზომამდე მოაბეზრა მხედრობას თავი, რომ ქალაქ შაბაცის მახლობლად დანიშნულ აღლუმის დროს ერთი „ურაც“-კი არავინ დასძახა, თუმცა უფროსები უბრძანებდნენ,—იყვირეთ „ურაო“. დედოფალს ბრაზისაგან კინაღამ გული წაუვიდა, მაგრამ რას გახდებოდა.

დრაგამ თანდათან მოუძვირა გარედ გამოსვლას სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, მაგრამ ალექსანდრეს მაინც არა სტოვებდა უთვალოდ: თავის მაგივრად თავისი ძმა ნიკოდიმ ლუნევიცა აადევნა; სადაც უნდა წასულიყო ალექსანდრე, ნიკოდიმიც თან უნდა ხლებოდა, ალბად იმ აზრით, რომ მეფეს არავინ შესჩენოდა და დედოფლის წინააღმდეგ არა ჩაეგონებინათ-რა.

რადგან დრაგა ჰგრძნობდა, რომ ხალხი და ჯარი მისი წინააღმდეგი იყო, გარდა რამდენისამე მის მიერ გაბედნიერებულ და დაჯილდოვებულ კარის-კაცთა და ახლო ნათესავთა, გადასწყვიტა უკანასკნელი ღონე ეძია: გამოეცხადებინა ტახტის მემკვიდრეთ თავისი ძმა ნიკოდიმი და ამით განემტკიცებინა, როგორც თავისი მდგომარეობა, ისე განეძლიერებინა მთელი თავისი გვარეულობა. რომ ეს განზრახვა არა ჰქონდა დედოფალს, ნიკოდიმის მემკვიდრედ გამოცხადებას აზრად როგორ გაიტარებდა? უვიცი, ზნე-დაცემული, ფუქსავატი და გულზვიადი პოდპორუჩიკი, რომელიც სძულდა მთელს ამხანაგობას გაუტანლობისა და მეტიჩრობისათვის, რა მემკვიდრე იქნებოდა სერბიის ტახტისა? თუ რა ღირსების პატრონი იყო ნიკოდიმი, იქიდან ეტყობოდა, რომ თავის ამხანაგებს არა ერთხელ მოჰყოლია თავმოწონებით (სიმთვრალის დროს),— ჩემი და ამდენი და ამდენი ხანია, რაც ალექსანდრესთან სცხოვრობს და რამდენჯერმე ფეხმძიმედაც იყო, მაგრამ როგორღაც ინთავისუფლებდა თავსა და ვერავინ ატყობდაო; მიკვირს, რატომ ეხლა აღარ ეძლევა შვილიო. ასეთ კაცის მემკვიდრედ არჩევას აპირობდა ალექსანდრე დრაგას ჩაგონებით, მეორე ძმა კიდევ უარესი იყო.

როდესაც ალექსანდრემ თავისი განზრახვა პირველად გაუზიარა ხალხის წარმომადგენლებს, ყველას ელდასავით ეცა ეს ამბავი და ერთხმად განაცხადეს, ეს უკიდურესი შეურაცხყოფაა სერბიის ერისაო. მეფე შეკრთა და დაიბნა. დედოფალი თურმე მეორე ოთახიდგან ადევნებდა თვალ-ყურს ამ ამბავსა; ვეღარ მოითმინა, შემოვიდა დარბაზში, მოჰკიდა მეფეს ხელი და მრისხანედ წარმოსთქვა: „აქ მეფეა მბრძანებელი და არა სხვა ვინმეო!“ ამ სიტყვებით გაიყვანა ალექსანდრე მეორე ოთახში და ისე ძლიერად გაიხურა კარი, რომ ყველა შეაკრთო.

ამის შემდეგ დაუწყეს დევნა რადიკალებს; ზოგი თავის ნებით განშორდა მმართველობას, ზოგიც ძალად დაითხოვეს, და დადგა ისევ ნეტარხსენებულ მილანის დროება. იმ კომედიას—კონსტიტუციის გაუქმებას, რომელიც გასულ მარტის 25-ს მოახდინა ალექსანდრემ, სხვა კი არა ჰქონდა-რა სარჩულად, გარდა რადიკალების საბოლოოდ დათრგუნვისა და შემდეგ ნიკოდიმის დაუბრკოლებლად მემკვიდრედ გამოცხადებისა. მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდა საბრალო ალექსანდრე, იმ იარაღმა, რომელთაც სხვისთვის ამზადებდა, თვითვე შეჰმუსრა.

დასასრულ არ შემიძლია არ გამოვსთქვა ჩემი გაკვირვება იმის შესახებ, რომ ჟურნალ-გაზეთობა დრაგა დედოფლის დებად სამს ქალს იხსენიებს,—ერთს უფროსსა და ორს უმცროსს. დრაგას მხოლოდ ერთი უფროსი და ჰყავდა, ქ-ნი პეტროვიჩი, რომლის საქმენი საარაკონი დღესაც ყველას პირზედ აკერია, და ორი უმცროსი ძმა—ნიკოდიმი და ნიკოლოოზი. ეს ორი და როდის-და შეეძინა დრაგას? ნეტავი ვიცოდეთ, რად ამახინჯებენ ფაქტსა: ეს ორი ახალგაზრდა ქალი დები კი არაა დედოფლისა, არამედ ღვიძლი შვილები არიან, რომელნიც ვენის საუკეთესო ინსტიტუტში იზრდებოდნენ ნატალია დედოფლის ხარჯით. უფროსი მათგანი, ჩემის ვარაუდით, 21 წლისა უნდა იყოს, ხოლო უმცროსი—19-ისა.

როგორც ამთავრდა ამ ცბიერ დიაცის ეგოისტური მისწრაფებანი, დღეს ყველამ უწყის და ამის შესახებ რაღა საჭიროა სიტყვა გავაგრძელო.

მ. ც.

### ახალი მოკეთე ტანჯული კაცობრიობისა.

გაზ. „ჟურნალი“ ერთს მეტად საყურადღებო და დიდ-მნიშვნელოვან ახალ ამბავს მოგვითხრობს.

საფრანგეთის ცნობილ ქიმიკოსსა და ბაქტერიოლოგს შამპანის, რომელიც წინად ბორდოს უნივერსიტეტს უმზადებდა პრეპარატებს და ეხლა ქ. პერიგეს სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედაა—მრავალი წლის კვლევა-ძიების შემდეგ აღმოუჩენია ათაშანგის (სიფილისის) საწინააღმდეგო შრატი, რომელიც თურმე სასწაულებრივ ჰმოქმედობს ამ საშინელ სენით შეპყრობილ სნეულებზედ. ბევრ ექიმს უცდია ეს ღონისძიება სხვა-და-სხვა მძიმე, თითქმის უიმედო ავადმყოფებზედ. ყველანი, ვისთვისაც-კი მოუსწრიათამ შრატის შეზხაპუნება, სრულიად განკურნებულან. სხვათა შორის მოურჩენიათ ერთი ახალგაზრდა ჯარის კაცი, რომელსაც კუნძულ ტაიტიზე შეჰყრია ეს საშინელი სენი. ამ კუნძულზედ ისეთის თვისებისაა ეს სენი, რომ თითქმის არავითარი წამლობა არა ჰშველის.

ბაქტერიოლოგი შამპანი ამ შრატს ათაშანგ აცრილ მაიმუნებიდგან ამზადებს.

შამპანი ამ ახლო მომავალში დაწვრილებით მოხსენებას წარუდგენს საფრანგეთის სამკურნალო აკადემიას იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა მის მიერ აღმოჩენილ შრატის ხმარებას.

ბაქტერიოლოგ შამპანის მალე გაუვარდება ტანჯულ კაცობრიობის უუდიდეს კეთილის მყოფელის სახელი, თუ მისი გამოგონება მართლა ნამდვილი გამოდგა

ნ.

# ჩვენებური ამბები

**ს. ნოსირი** (სენაკის მაზრა). 9 ივნისს საღამოს 9 თუ 10 საათზედ მოჰკლეს სოფ. ნოსირში აზნაურიშვილი გოგია ხახუს ძე კიზირია.

აი, როგორ მომხდარა ეს საზარელი ამბავი: კიზირიას ჰყოლია საღამოს ვიღაც გლეხი საქმისთვის დაბარებული; როცა ლაპარაკი გაუთავა, სათავაზოდ გაჰყვა უკანა კიბიდან და რაღაც ორიოდ სიტყვას კიდევ უმატებდა. ამ დროს იჭექა თოფებმა და კაცი უძრავად დაეცა ძირს, ვერ მოასწრო ვერც განძრევა და ვერც რისამე თქმა. როგორც ამბობენ, ორი ტყვია უნდა ჰქონდეს მოხვედრილი მიცვალებულს, ერთი თავში და ერთი მკერდში. ჯერ-ჯერობით გვამი მიცვალებულისა ექიმისაგან არ არის გაშინჯული და შესაძლოა კიდევ ჰქონდეს ტყვია. სამი ტყვია კედელს აქვს მოხვედრილი და ერთი სარკმლის შუშას. ბოროტ-მოქმედნი ყოფილან პატარა ბოსტანში ჩასაფრებულნი და აქიდგან უთვალიერებიათ, აბა როდის გამოვა სახლიდგანაო; ბოროტ-მოქმედებს ხელს უწყობდა ერთის მხრით სიბნელე და მეორის მხრივ ოთახებში გაჩაღებული ლამპრები.

გოჩა მეგრელი.

**თილავი.** შაბათს, 7 თიბათვეს, მეწვრილმანეების ამქარმა, ჩვეულებისამებრ მოიყარა თავი და გადაიხადეს სამღვთო. თითო მათგანი სამ მანეთს იყო ჩამოსული. კარგა ფული შესდგა, რადგან 200 კაცამდინ იქმნებოდა სამღვთოში. ამ ფულს კიდევ სხვა ფული ემატება. ამ დღეს ყველას დუქნები დაკეტილი იყო, გარდა ორის მოკაწრესი, რომელთაც გადაიხადეს ამქრის სასარგებლოდ 34 მან. ამ ფულებს სამ დღეში ბოლო მოუღეს ლხინსა და ქეიფში.

მესამე დღეს უსტაბაშად ამოირჩიეს ძველივე უსტაბაში—იოსებ ბეგიჯანოვი. მას მიუჩინეს 4 თანაშემწე. შემდეგ დაადგინეს, რომ კვირაობით დუქნების გაღება იქმნება ჯერით, ე. ი. ყოველ კვირა დღეს ორი სხვა-და-სხვა დუქანი იქმნება ღია, დანარჩენი—დაკეტილი. თუ ვინიცობაა, უჯეროდ გაადებს ვინმე დუქანს, გადახდება ჯარიმა, პირველ შემთხვევაში 5 მ., ხოლო მეორედ 10 მ., მესამედ 25 მ.

როდესაც მიცვალებულზედ ამქარს მიიწვევენ, ყველა დუქნიდგან თითო კაცი უნდა წავიდეს. თუ ვინიცობაა თვლაში ყოფნის დროს დააკლდა და არ წავიდა, იმას გადახდება ჯარიმა ამქრის სასარგებლოდ 50 კ.. რომელიც ამქარში ჩაწერილი არ არის მომავალ 1904 წ. უნდა დაილოცნენ. დასალოცი ფული უნდა წარუდგინონ ამქარს თითომ 5 მან.; თუ რომელიმე მათგანი უარს იტყვის, იგი განდევნილი იქნება ამქრიდგან.

ყოველივე ეს ზემოხსენებული ფული იქმნება ხუთის კაცის ხელში. იმათ უნდა შეინახონ ხაზინაში. აპირობენ კიდევ სხვა ფულიც გასწერონ ამქარზედ, იყიდონ სალხინო ადგილი და ყოველ წელიწადს იმ ადგილას გადაიხადონ სამღვთო. კარგი იქმნებოდა ისეთი აზრი, რომ არა თუ სალხინო ადგილი იყიდონ, არამედ სხვა რამ საკეთილო საქმე დააწყონ.

აქეთკენ ძალიან დაჟინებული წვიმებია. შაბათს, 7 თიბათვეს მთელი დღე წვიმდა, ქუჩები ხევებად გარდაიქცა. თურდოს ხევი ხომ გაკაპასებული მოდიოდა და გადააბრუნა ქალაქიდან მომავალი ფარჩით დატვირთული ფურგონი არტემ არუთინოვისა. მთელი ეს ფარჩა და ჩითეული დასველდა. ახლა იწევს დასველებული ფარჩის გაყიდვა ნაყიდობაზედ კიდევ ბევრით ნაკლებ.

წლეულს აქეთ მხარეს ხილი ძალიან ცოტა არის. ჯერ იყო გაზაფხულზედ ყვავილის შემდეგ გაფუჭდა. რაც გადარჩა, რამდენჯერმე მოსულმა სეტყვამ ბოლო მოუღო.

ვენახები ჯერ კარგად არის, რაც-კი სეტყვას გადაურჩა, ყანებზე-კი ცოტა უიმედოთ არიან რადგანაც ძალიან თხელებია.

ვასო თუმანაშვილი.

# კავკასია

**პეტროვსკი.** აქ ოცამდე არის გამოჩენილ მილიონრების ფირმის განყოფილებანი, სადაც სხვა-და-სხვა ტომის ხალხი მსახურებს, აგრეთვე აუარებელი სხვადა-სხვა მოხელე მაგრამ აგერ ორი თვეა, რაც პეტროვსკს წარმოდგენა არ ღირსებია, წინად გამვლელ-გამომვლელი არტისტთა დასნი გვესტუმრებოდნენ ხოლმე, მაგრამ ერთის წარმოდგენის შემდეგ თავიანთ ბარგი ბარხანით გარბოდნენ.

ძლიერ პატივში იყო ბ. ტონნის ოპერეტკა, ყოველ წარმოდგენაზე ბილეთები არა რჩებოდა. პერკილის ცირკსაც სწყალობდა საზოგადოება. ახლა ესეც აღარ გვაქვს და ამის მაგიერ ყოველ დღე ბაღის მუზიკა დილის 12-დგან 2 საათამდე და საღამოს 9 საათიდგან 11 საათამდე და სეირნობს უფულო საზოგადოება, ფულიანები-კი „ვილდორადში“ (ბაღში რესტორანი) ატარებენ დროს.

ქალაქის ხმოსნები დიდს ამბავში იყვნენ, და ბოლოს ქუჩები ახლა მოდის ფარნებით გაგვინათეს და ბაღშიაც ერთი ეგეთივე ფარანი ჩამოჰკიდეს.

ნიკო ტასიკოშვილი.

# რუსეთი

11 ივნისს სახელმწიფო საბჭომ განიხილა პეტერბურგის ახალი დებულების პროექტი და მალე გამოქვეყნდება. ხმოსანთა არჩევნები ნოემბრის შუა რიცხვებისთვისაა დანიშნული.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუგზავნა გუბერნატორებს განკარგულება, რომ სოფლის სასამართლოში ძველი გადაუწყვეტელი საქმეები უნდა დაიწვას და განადგურდეს.

— გლინკის ძეგლის ასაგებად პირველ ივნისამდე 83,106 მანეთი შემოსულა.

— ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო კონტროლის თანხმობით საჭიროთა სცნო ერობის წიგნის საწყობი გაანთავისუფლოს სავაჭრო გადასახადიდან და მისცეს ნება საწერ ქაღალდით ვაჭრობის.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა საქიმიო საბჭოს დადგენილება, რომ გიპნოტიზმითა და მაგნეტიზმის საჯარო კითხვები აკრძალულ იქნას.

— როგორც გზათა სამინისტროს მიერ შეკრებილ სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, რუსეთის ყველა რკინის გზიდან 1902 წელს შემოსავალი ყოფილა 592,553,471 მან. წინა წელზე 18,586,899 მანეთით მეტი. პასაჟირთა რიცხვი ამავე წელს ყოფილა სულ 111,019,682. გადაუზიდნიათ 7,669,806,000 ფუთი საქონელი.

— პეტერბურგში გარდაიცვალა ტეხნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი აპოლონ აპოლონისძე კურტოვი.

— რუსეთის ექიმთა საზოგადოებასთან დაარსდა კომისია, რომელსაც აზრად აქვს ციებ-ცხელებიანი კუთხის შესწავლა და გამოკვლევა რუსეთში. კომისიამ გარდასწყვიტა გაგზავნოს ექსპედიცია კავკასიასა და თურქესტანში, სადაც დასახელებული ავადმყოფობა უფრო გავრცელებულია. რკინის გზის მმართველობას 1400 მანეთი გადაუდვია ექსპედიციის სასარგებლოდ.

— ტვერის საგუბერნიო ერობის გამგეობას ნება მიეცა ორ კვირეული გაზეთი გამოსცეს. გაზეთს ეწოდება „ტვერის ერობის დაზღვევა“.

7 ივნისს მიწას მიაბარეს უცბად გარდაცვლილის ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორის მარკევიჩის გვამი. დასაფლავებას ბლომად დაესწრო ხალხი.

— შემოდგომიდან შემდეგი ახალი გაზეთები გამოვა პეტერბურგში: „Наши Дни“, „Русская Земля“, „Русскій Голосъ“, „Русь“, რომლის რედაქტორიც ა. ა. სუვორინია.

— საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის სტამბა შეუდგა ჩინურ ენაზედ წიგნის ბეჭდვას. პირველად გამოვა რუსულ-ჩინური ლექსიკონი და 30 სხვა-და-სხვა წიგნაკები.

— ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს დააარსოს პეტერბურგში უმაღლესი კომერციული სასწავლებელი გერმანიისა და ინგლისის ვაჭრობის აკადემიის მსგავსი. სასწავლებელს სამი ფაკულტეტი ექმნება ოთხი წლის კურსით თითო. შესვლის უფლება მიეცემა, ვისაც საშუალო სასწავლებელი გაუთავებია.

— სასულიერო მთავრობას დაუგზავნია ყველა ეპარქიისათვის ცირკულიარი, ცირკულიარი ეხება უკანონოდ შობილ ბავშვების ბედ-იღბალს. ყველა უკანონოდ დაბადებული ბავშვი მეტრიკის წიგნში უნდა ჩაიწეროს დედის სახელზედ. სიტყვა „უკანონო“—განდევნილია მეტრიკის წიგნიდგან.

# უცხოეთი

**სერბია.** გაზ. „ნოვ. ვრემია“-ს ატყობინებენ: „სერბიის მთავრობამ, თანახმად კანონისა, დაადგინა, ყოველი კერძო ქონება, რომელიც მეფეს დარჩა, მის დედა—ნატალია დედოფლის საკუთრებად გადავიდეს.

— იმავე გაზეთს გაუგია: ბელგრადის თვითმმართველობამ დაადგინა, ბელგრადის ქუჩებისა, მოედნებისა და სხვა საზოგადო ადგილების სახელწოდებანი, რომელნიც სხვა-და-სხვა გვარად ობრენოვიჩების ყოფილ გვარს მოაგონებს მცხოვრებთ, უეჭველად შეცვლილ იქმნას.

— თავად პეტრე ყარაგიორგიევიჩის მეფედ არჩევის შემდეგ, დიდძალი მიმლოცველები აწუხებდა ჟენევაში; უმეტეს ნაწილად სხვა-და-სხვა მოწყალების მთხოვნელები.

პირველად გამოცხადდა ვიღაც ახალგაზრდა ინგლისელი ლედი (ქალი), რომელსაც ხელში ვეებერთელა ვარდის კონა ეჭირა. წერილების რიცხვს ხომ საზღვარი არა ჰქონდა.

ერთმა ამერიკელმა მილიონერმა თავადს პეტრეს „საქმიანი“ წინადადებაც მისცა,—ჩემი ქალი შეირთე ცოლად აურებელ მზითვს მოგცემო.

— გაზ. „ჟურნ. დე ჟენევ“-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს პეტრე მეფეს სხვათაშო-

# ფელეტონი

## საუბარი ჩვენს სასოფლო მეურნეობაზედ.

(დასასრული *)

მიწის ნაყოფიერების დასუსტება მით უფრო საშიშია, რომ ჩვენმა ძველმა კულტურამ ამის წამალი არ იცის. მან იცოდა მიწის დასვენება. ექვს წელიწადს რომ მიწა ყანობდა, მეორე ექვს წელიწადს დასვენებული იყო და ისევ განაყოფიერდებოდა. დღეს ეს აღარ ხერხდება. მიწის სიმცირისა გამო გლეხი იძულებულია დაიმუშაოს, რაც-კი მიწა აქვს, კარგი და ცუდი. მოსვენებაც ბევრს ვეღარას შველის მიწას, როდესაც ეს მოხერხდება; ან რა უნდა უშველოს, რომ ხე გადაიჭრა, ტყე მოიკაფა. ტყისა და ხეების მოკაფვამ განსაკუთრებით დააზარალა მთის კალთებში, ფერდობზედ მდებარე სახნავები, სადაც ნიაღვარმა მთლად ერთიანად ჩამორეცხა ნიადაგი.

ჩვენს სოფელს პატივი არ მოეძევება. რაჭა-ლეჩხუმში, სადაც დიდი თოვლი იცის, ხალხი იძულებულია ზამთარში საქონელი სახლში გამოჰკვებოს და რაოდენიმე პატივიც რჩება. მაგრამ სხვაგან, სადაც თოვლი ან სულ არ მოდის, ან თუ მოვიდა მხოლოდ რამდენსამე დღეს გასტანს, საქონელი მთელს წელიწადს გარეთ დაეხეტება, საკვებს ვერ ჰპოულობს და ქვეყანას-კი აწუხებს და დიდ უსიამოვნებისა და ზარალის მიზეზადაც გახდება ხოლმე პატრონისთვის. ამის გამო ან არა ჰყავთ საქონელი და ან სრულებით არ უვარგათ. საკვების ბალახის თესვა ჩვენმა ხალხმა არ იცის. დღეს თესვაც არ მოხერხდება, ამიტომ რომ სიმინდისთვისაც არა აქვთ საკმაო მიწა. პირუტყვის საკვებია ჩალა-სიმინდისა და ღომისა, უმეტესად სიმინდისა და ამასაც უფრო ხმარობენ ცხენისთვის, რომელიც მხოლოდ შესაჯდომად იხმარება, ურემსა და სახნისს-კი არასა რგებს.

მიწის გასანაყოფიერებლად ძველი კულტურა მცენარის შეცვლასაც ხმარობდა რამდენიმე წელიწადი რომ სიმინდი ითესებოდა, მერმე პურს სთესდნენ, პურის შემდეგ — ღომსა. დღეს სიმინდზე მიდგა საქმე და ეს საშუალება ხმარებაში აღარ არის.

ჩვენის სასოფლო მეურნეობის ეს დღევანდელი გაჭირვება ოც-და-ათი წლით ადრე გვიწინასწარმეტყველა ჩვენმა მეცნიერმა თანამემამულემ ბ-ნმა ვასილ პეტრიაშვილმა *); მაგრამ მისი გაფრთხილება დარჩა ხმად მღაღადებლისა ჩვენის ცხოვრების უდაბნოში. დღეს-კი, როდესაც ურემი გადაბრუნდა: ყველა ადვილად დაინახავს, რომ ძველის გზით სიარული საშიში, აღარ შეიძლება; საჭიროა ახალი გაიკაფოს. ამ გზას სპეციალისტები გვიჩვენებენ, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ ხალხს საშუალება უნდა მიეცეს საქონლის საკვებ ბალახის თესვას მიჰყოს ხელი, გაიჩინოს საქონელი, რომ ამგვარად მიწის სასუქი გაუჩნდეს. უამისოდ არ გაეწყობა. უამისოდ ჩვენი დარიგება მიწის გასუქების შესახებ ამაოდ ჩაივლის. ხალხს საზრდო რომ არა აქვს, თავის თავიც ვერ გაუსუქებია. თუმცა ეჭვი არ არის, ძლიერ სურს მსუქანი იყოს. ასეთია ჩვენის გლეხობის მიწის ნაკლებობის და მისის მეურნეობის სურათი.

გლეხთა გაჭირვებამ შიდა რუსეთში თუ უფრო თავი იჩინა, ვიდრე ჩვენში, ეს სრულებითაც არ ამტკიცებს, რომ ამიერ-კავკასიაში გლეხობა უზრუნველ ყოფილია მიწით. ამის მიზეზია ბუნება, რომელიც ერთი იმით შეგვწევს, რომ ხალხი ხელს იბრუნებს ძვირფას მცენარეთა გაშენებით, რომელიც რუსეთში ჰავის გამო არ მოდის; მერე უფრო კიდევ შეგვწევს მითი, რომ მისი მოთხოვნილება აქ ნაკლებია, ხალხი უფრო იოლად მიდის, ცუდად, მაგრამ ადვილად იკმაყოფილებს პირველ საჭიროებათა მოთხოვნილებას, როგორიც არის ბინა, ტან-ფეხი, საზრდო.

ამ მიზეზის გავლენის გასათვალისწინებლად, საკმაოა წარმოვიდგინოთ, რა უბედურება მოხდება, ჩვენი ჰავა რომ უეცრად რუსეთის ჰავად შეიცვალოს.

ბ-ნ კოგიჩაიშვილის მოხსენებაში სამი სალსარია ნაჩვენები ადგილობრივ მკვიდრ გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: 1) დაარსდეს ტფილისში სახელმწიფო საგლეხო განყოფილება. 2) მიეცეს მათ თავისუფალი სახაზინო მიწები იმავე პირობით, როგორიც რუსეთის მკვიდრთ ეძლევა და 3) დაეხმაროს მთავრობა კრედიტით ახალ მობინადრე გლეხებს ინვენტარის და სხვათა შესაძენად. ყოველივე ეს მიღებულ იქმნა ადგილობრივის კომიტეტის მიერ და უნდა ვიფიქროთ მიღებულ იქმნება განსაკუთრებულ ბჭობის მიერაც, რადგან ყოველივე ეს, მთავრობისაგან ცნობილია უკეთეს საშვალებად გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის. დიდი ხანია რუსეთში მოქმედებს სააზნაურო და საგლეხო საადგილ-მამულო ბანკები. ამ ბოლო დროს სააზნაურო ბანკის განყოფილება უკვე დაარსდა ტფილისშიაც. ახლა რიგი საგლეხო ბანკის დაარსებაზედ მიდგა.

გლეხის შრომას ხელ-ფეხს უკრავს მიწის ნაკლებობა. სახელმწიფოს-კი დიდ-ძალი ადგილ-მამული აქვს თავისუფალი, ამისათვის საკმაო საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მიწის გადიდების საკითხი გლეხის სასარგებლოდ გარდაწყდება, რამდენადაც შეიძლება, ხალხს მიეცემა სამუშაოდ და თავის სარჩენად საკმაო მიწა.

საჭიროდ ვსთვლით კიდევ ვსთქვათ, რომ ყოველივე ეს ჩვენი ცხოვრების ნაკლს ვერ შეავსებს, მაგრამ დიდ დახმარებას აღმოუჩენს ხალხის თვით მოქმედებას, რომელიც არის ერთად-ერთი ნამდვილი საშვალება, შემავსებელი ყოველ გვართა ცხოვრების ნაკლთა გლეხობის მიწით უზრუნველ-ყოფა, მისი არსების პურით უზრუნველ-ყოფა არის. ამისათვის ეს საშუალება მიგვაჩნია უპირველესად ჩვენის სასოფლო მეურნეობის იდეალისკენ წინ წასაწევად.

თავდაპირველად გლეხი სიმინდის თესვას მოუმატებს. გაძღება ოჯახი. საქებ-სანატრელია სოფელში მაძღარი ოჯახი. სოფლელის იდეალი ამ თქმულებაშია გამოხატული: „არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმა მყოლია, ძველი პური, ძველი ღვინო წლით წლობამდის გამყოლია“. დღეს იგი არავისი ყმა აღარ არის, არც სხვა ჰყავს ყმად, მაგრამ ბეღელს კი ხშირად ათვალიერებს, რომ შეიტყოს, გაჰყვება, თუ არა ძველი ჭირნახული ახლამდის და, თუ გულში შიში ჩაუვარდა, ანჩხლობს და ცოლ-შვილს უქმელობას უქადაგებს: „ყოველთვის ჭამა ვის გაუგონია, ღმერთს იჯრა გაუჩენიაო“. როდესაც გლეხს სიმინდი ბლომად ექნება, სულის მშვიდობა დამყარდება ოჯახში, უშიშართ თვალი ყოველივეს უკეთ დაინახავს და გაარჩევს, გამბედაობაც დაიბადება.

სიმინდს ცოტა ფულსაც ჩამორჩება გლეხი, თუ მიწა ექნება, მუშა თითონ არის და ამ მცირე თანხის მეოხებით ნელ-ნელა შეაპარებს თავის მეურნეობას რასმეს ინტენსიურს და თავდაპირველად ამას უეჭველად ძველ კულტურიდგან აირჩევს. ამასვე ვხედავთ ცხოვრებაში, რომელიც ამ შემთხვევაში საუკეთესო მაჩვენებელია. ვისაც საკმაო მიწა აქვს და მაძღარი ოჯახის პატრონიც არის, აშენებს ვენახს, რგავს ფურცლისა და დაფნის ხეებსა, სთესს ბამბას, თამბაქოსა. ამ მდგომარეობაში შეიძლება გლეხმა უმჯობეს საწარმოო იარაღთა საწყობიც დაათვალიეროს, ადვილად შეიძლება საქონლის საკვებ ბალახის თესვასაც მიჰყოს ხელი, ჩვენის მეურნეობისათვის ბალახის თესვა ახალი საქმეა და მისი შეთვისება არ არის ადვილი; მაგრამ სოფელს საქონლის ფასი ესმის, იცის, რომ ხარი ისეთივე მუშაკია, როგორც თითონ, ძროხა ოჯახის

---

*) იხ. „ივერია“, № 125.

*) მისი წერილი, ვგონებთ, „დროებაში“ იყო დასტამბული, კარგად არ გვახსოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის უთქვამს, — მე არ ვამართლებ პოლიტიკურ მკვლელობას; იმათ უნდა ემოქმედნათ სულ სხვანაირად; მართალია, მეფე არ დასთანხმდა ტახტის დათმობას, მაგრამ იმისი და დედოფლის გაძევება სერბიიდგან სულ ადვილი საქმე იყო. იგინი უნდა შეეპყრათ და დუნაით გაემგზავრებინათ. ეს ბევრათ უფრო კეთილშობილური საქმე იქნებოდა და სერბიის ისტორიაც მოიგებდა მხედრობის სასახელოდ და სადიდებლად არ ჩაითვლება, მკვლელობა განსაკუთრებით დედაკაცისა. ამნაირ ძალმომრეობითის დონის ძიებით ჩვენ ბევრით ვერ გაგვისწრია „Pbouuöiamenfo“—ეს ეპოქისათვის შემდეგ მეფე შეეხო სერბიასა და სთქვა: „სერბიის ისტორია მობრუნების გზას დაადგა; ეხლა სერბიას შეუძლიან ამაღლდეს, მაგრამ მისთვის ძლიერ საჭიროა ლიბერალური მთავრობა და თავისუფალი დაწესებულებანი. მე, კერძოდ, მომხრე ვარ ბეჭდვითის თავისუფლებისა, ვინათგან ხშირად მხოლოდ ბეჭდვითი სიტყვის მეოხებით ვიგებთ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებასა.

— გაზ. „ტიმე“-ი ირწმუნება, ვითომც პეტრე მეფეს ტახტზედ ასვლის თანხმობა შემდეგის სამის პირობით განეცხადებინოს: 1) სკუპტჩინას (პარლამენტი) მიერ ერთხმად არჩევა; 2) განდევნა ყველა იმ აფიცერთა, რომელთაც შეთქმულობაში მონაწილეობა მიიღეს და 3) სასახლის სამინისტროს ბიუჯეტის გადიდება.

— გაზეთები სიამოვნებით ეგებება რუსეთის მთავრობის განცხადებას და თხოულობს, შეთქმულნი დასჯილ იქმნენო.

ნენადოვიჩმა გამოუცხადა ჟენევის ჟურნალისტებს, მეფე პეტრეს არ შეუძლიან დასაჯოს შეთქმულნი, რადგან ეს უკმაყოფილებას გამოიწვევს ხალხშიო. სახელმწიფოები, მეფის აზრით, ამას ვერ მოითხოვენ. მიშიჩს გამოუცხადებია,—29 მაისის ღამეს ბოროტ-მოქმედება კი არ ჩავიდენია, რევოლიუცია მოვახდინეთო.

— გაზ. „ბერლ. ტაგებ.“-ის ვენელი კორრესპონდენტი შემდეგს მოგვითხრობს სერბიის ახალ მეფისა და მახლობელ ნაცნობთა შესახებ.

პეტრე I-ლი თავდაჭერილი, ძლიერ მშვიდი და აუჩქარებელი კაცია გარეგან შეხედულობით. ნამდვილად-კი მეფე ძლიერ ცოცხალი და შთაბეჭდილებიანი ხასიათის პატრონია. ის თავის თავად ნამდვილი წარმომადგენელია მხედრისა, რითაც დიდად განსხვავდება ევროპის დანარჩენ გვირგვინოსანთაგან, რომელთა ყოველი მისწრაფება—მხოლოდ ტახტისაკენაა; იგინი მით არიან კმაყოფილნი, რომ შეუძლიათ გაატარონ მთელი სიცოცხლე წინაპართაგან დატოვებულ მდიდარ სამკვიდრობელში.

პეტრე მეფეს ჩერნოგორიის კნიაჟნა ზორკასთან შეუღლება მეტად რომანტიულის ხასიათისაა.

როცა ჩერნოგორიასა და ოსმალეთს შორის ომი ასტყდა, ჩერნოგორიის მთავარს სახლებში საშინელი ამბავი მიუტანეს: პიკრიკი მიიჭრა სასახლეში და შეატყობინა, ოსმალეთის რაზმი თავს დაესხა მოულოდნელად მთავრის ბავშვებს, რომელნიც დარაჯების მფარველობით დასავლეთისაკენ მიდიოდნენ კატაროსაკენ, გასწყვიტა დარაჯები და ყველანი ტყვედ წაასხაო. მდევრის დადევნება შეუძლებელი იყო; იმათ შორს წასვლა მოასწრეს და მიიმალნენ. მთავრისა და მთავრის მეუღლის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. უცებ თვალი მოჰკრეს შორით ვეებერთელა მტვრის ღრუბლებს.—თავადი პეტრე მოაქროლებდა სასახლისაკენ. ადრევე კაცო მდევრისაგან მთავრის ბავშვების ტყვედ წაყვანა, გამოსდგომოდა უკან მთელის რაზმით, გაეწყვიტა ოსმალთა რაზმის ერთი ნაწილი, ხოლო მეორე დაექსაქსა, გაენთავისუფლებინა ბავშვები და თან ყველანი მოჰყავდა.

— როგორ გადაგიხადო მადლობა? შესძახა გახარებულმა მთავარმა თავად პეტრეს.

ვიდრე თავადი პეტრე პასუხის მიცემას მოასწრებდა, ზორკა მოეხვია მამას კისერში და სთხოვა.

— მამავ, ჩემი თავი აჩუქე!

თავად პეტრეს გმირულმა მოქმედებამ დაიმონავა ზორკას გული. იმ დროს კნიაჟნა სულ 14 წლისა იყო. ამ გვარად რამდენისამე წლის შემდეგ ბედნიერი ზორკა თავად პეტრე ყარაგეორგიევიჩის მეუღლე გახდა.

ადვილი შესაძლებელია, ეს ლეგენდა იყოს, მაგრამ ლეგენდა მშვენიერი და სიმართლის მსგავსი

თავადი პეტრე სრულიად არა ჰგავდა თავის მამას. მთავარი ალექსანდრე, სერბიის მიტოვების შემდეგ, გადასახლდა უნგრეთში, თემოშვარის ოლქში, თავის მამულ ბოკჩეგში, სადაც ხელი მიჰყო მეურნეობასა და ნადირობას პოლიტიკა სრულებით არ აინტერესებდა და დაანება თავი. პოლიტიკა აინტერესებდა ისევ მისს მეუღლეს. თავად პეტრეს ბევრი საპოლიტიკო ღირსება დედისა თავის სახელგანთქმულის პაპის „შავ-გიორგისა“ გამოჰყვა იმ „შავ-გიორგისა“, რომელმაც ოსმალეთის მონობისაგან გაანთავისუფლა სერბია და საძირკველი ჩაუყარა მისს დამოუკიდებლობას.

**იაპონია.** იაპონიის გაზეთები იუწყებიან:— ყველა ჩინელ ქალებმა რომელნიც ამ ჟამად იაპონიაში (სხვა-და-სხვა სასწავლებლის მოწაფენი) იმყოფებიან, სურვილი განაცხადეს,—თუ იაპონია—რუსეთს შორის ომი ასტყდა, უეჭველად ჩვენც თან გავყვებით მხედრობას, რომ დაჭრილ მხედართ (იაპონელებს) მოვუაროთო; ქალებს თურმე ყველაფერი მოუმზადებიათ და როგორც-კი საჭირო იქნება, გაუდგებიან გზასა.

— ჩინეთის მთავრობას საჭიროდ უცვნია, ახალგაზრდობა უეჭველად იაპონიას გაჰგზავნოს მეცნიერების შესასწავლად. ამ აზრით მანჯურის გუბერნატორი ჯოუ შემდეგს აცხადებს: „არჩეულ იქმნას მანჯურის პროვინციაში 50 მოსწავლე ახალგაზრდა და სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნოს იაპონიის მეცნიერების შესასწავლად.

მოწაფეთა ზედამხედველად დანიშნული იქნება განსაკუთრებული დაოტაი-ვანი.

ახალგაზრდები მიტომ-კი არ იგზავნებიან იაპონიას, რომ მხოლოდ თვათ ისარგებლონ შეძენილ ცოდნათა ნაყოფით, არამედ იმ აზრით, რომ, როგორც განათლებულებმა კაცებმა, სარგებლობა მოუტანონ თავიანთ თანამემამულეთ, ახალ სამეცნიერო ცოდნათა გავრცელებით და მით ასახელონ თავისი სამშობლო.

მე, გუბერნატორი, ჩემის მხრით იმედს ვცხადებ, რომ ახალგაზრდობა რიგიანად დაიჭერს თავს, იხელმძღვანელებს დაოტაის დარიგებით, მოერიდება ცუდს გავლენას და გულმოდგინეთ იმეცადინებს, რათა რიგიანად დაამთავროს თავისი სწავლა.“

შემდეგ მოყვანილია სია არჩეულ 50 მოწაფისა.—ტოკიოდგან დეპეშით იუწყებიან,—იაპონიაში მოსწავლე ჩინეთის ახალგაზრდობას განსაკუთრებული რაზმი შეუდგენია და ბეჯითად შესდგომია სამხედრო ხელოვნების შესწავლასა.

# ნარკვევი

გაზ. «ბაქო»-ში ვკითხულობთ:

ახალ გამოცემულ „დროებითი წესები“, რომლის ძალითაც საფაბრიკო ინსპექცია გუბერნატორებს უნდა დაემორჩილოს, ერთი უდიდესი შემთხვევაა უკანასკნელ დროის კანონდებლობაში.

კარგა ხანია გავრცელებული იყო საზოგადოებაში ხმა საფაბრიკო ინსპექცია ადმინისტრაციის ხელში გადავაო. მწერლობაშიაც გაისმოდა ხან-და-ხან ასეთი ხმა, მაგრამ დაჯერებული არავინ იყო, რომ ამ გვარი რამ მოხდებოდა. დღეს-კი ეს ხმა სავსებით გამართლდა.

დღემდე არსებულ კანონის ძალით საფაბრიკო ინსპექცია ფინანსთა სამინისტროს ქვემდებარებოდა. თავის სამსახურის აღსრულების დროს საფაბრიკო ინსპექტორები გუბერნატორებს არ ემორჩილებოდნენ, ისინი ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით ხელმძღვანელობდნენ.

ახალმა კანონმა-კი ძირიან-ფესვიანად შესცვალა ასეთი დებულება საფაბრიკო ინსპექციისა. „დროებით წესების“ ძალით საფაბრიკო ინსპექტორები გუბერნატორის ხელმძღვანელობით უნდა მოქმედობდნენ; „ფაბრიკებსა და ქარხნებში მშვიდობიანობას, წესიერების დასამყარებლად“. საფაბრიკო ინსპექტორს გუბერნატორი ნიშნავს. მასვე აქვს უფლება უარჰყოს და არ შეიწყნაროს საფაბრიკო ინსპექტორის განკარგულება და დადგენილებანი.

ამ გვარად, თუმცა საფაბრიკო ინსპექცია ისევ ფინანსთა სამინისტროს „უწყებაში“ რჩება, მაგრამ ეს „უწყება“ არსებითად შეზღუდულია და დამოკიდებული ადმინისტრაციისაგან.

ასეთი შემთხვევა პირველი არ არის რუსეთის საკანონმდებლო ისტორიაში. ერობის უფროსთა და ქალაქის მოსამართლეთათვის სავალდებულო კანონების გამოცემის დროს ერობის უფროსებს ორგვარი უფლება მიენიჭა—ფუნქცია მოსამართლისა და ადმინისტრატორისა უფროსი, როგორც ადმინისტრატორი და მოსამართლე, ემორჩილებოდა გუბერნატორს, რომელსაც იუსტიციის ბევრი არაფერი ესმის, ასეთი ბედი ეწვია ქალაქის მოსამსახურეებს. ქალაქის მსაჯული—იუსტიციის სამინისტროს ორგანოა; მაგრამ, როგორც სამაზრო ერების წევრი, ემორჩილება შინაურ საქმეთა სამინისტროს.

ამ გვარი იყო არევა ერთი უწყებისა მეორეში. მაგრამ, როგორც თხუთმეტი წლის გამოცდილებამ დაამტკიცა, ასეთს წესებს ზარალის მეტი არა მოუტანია-რა.

საფაბრიკო ინსპექციაც ვერ ასცდება ასეთს მავნე ხვედრს. საფაბრიკო ინსპექციისაგან დიდი იმედი ჰქონდა ყველას. მისგან მოელოდნენ გამწვავებულ ურთიერთობის დაცხრომას ფაბრიკანტებსა და მუშებს შორის; კაპიტალსა და შრომას შორის ატეხილ ბრძოლას დააშოშმინებდა და სხვა. სხვა-და-სხვა მიზეზების გამო საფაბრიკო ინსპექტორები ვერ ამართლებდნენ იმედს; ზოგიერთ შემთხვევებში იმედის გაცრუება მათგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ხდებოდა.

ახალ წესების ძალით საფაბრიკო ინსპექციის მოქმედება იცვლება: ის ჰკარგავს თავის ასე თუ ისე დამოუკიდებლობას; ის აღმასრულებელ ადმინისტრატიულ ორგანოდ გარდაიქცა, პოლიციურ ჩარჩოში ჩასმული. ეს არ შეეფერება იმ დანიშნულებას, რომლის აღსასრულებლად საფაბრიკო ინსპექცია იყო მოვლენილი“.

ლიბერალური პრესსა დიდად დაალონა ასეთმა განკარგულებამ. ყველა სწუხს, რომ საფაბრიკო ინსპექცია გუბერნატორს დაემორჩილა. მაგრამ თუ საქმეს უფრო ღრმად დაუკვირდებით, არსებითად არავითარი ცვლილება არ მომხდარა. საფაბრიკო ინსპექტორები ადმინისტრაციის, მუდამ პოლიციის გავლენის ქვეშ მოქმედებდნენ. დამოუკიდებელი იგინი არასოდეს არ ყოფილან, და თუ იყვნენ, ეს დამოკიდებულება ფიქტიური, თვალის ასახვევი იყო. ახლა-კი მოხდა ის, რაც ფაქტიურად იმ თავიდანვე ხდებოდა. იურიდიულად ინსპექტორები გუბერნატორებს დაემორჩილნენ. თუ სრული დამოუკიდებელი არ იქნებიან საფაბრიკო ინსპექტორები, ამ შემთხვევაში სულ ერთია: ფინანსთა სამინისტროს ხელში იქნებიან, თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს. პირველიც და მეორეც ადმინისტრატიულ, პოლიციურ კანონებზეა დამყარებული. ორივე ერთის სისხლის და ერთის ხორცისა არის, ორივეს არსებული ბიუროკრატიული რეჟიმი ამოძრავებს, რომლის წინააღმდეგაც გაისმის მთელ რუსეთში ხმა. სანამ ეს ასე იქნება, მანამდე სულ ერთია, გინდ მგელს შეუჭამივარ, გინდ მგლის ფერ ძაღლსაო. საჭირო-კია, არც მგელმა შეგხრას და არც მგლის ფერმა ძაღლმა შეგჭამოს.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

14 ივნისს.

**სოფია.** ოფიციალურ წრეებში უარსა ჰყოფენ იმ ამბავს, ვითომ ბოლგარიის სამფლობელოში ოსმალებს ადგილები დაეჭიროთ. გაუგებარია ამბავი სულთან ტეპეს ოკუპაციის შესახებ.—ოსმალები კავალერიასა და არტილერიას თავს უყრიან საზღვართან კიუსტენდილის მახლობლად. მთავრობამ პორტას ნოტა გაუგზავნა და მოაგონა ის უსიამოვნო შედეგი, რომელიც მოჰყვა ბოლგარიის სამთავროს წარმომადგენელთა მიერ სახელმწიფოთა მიმართ გაგზავნილ ნოტას.

**ვენა.** მინისტრ-პრეზიდენტმა ორსავე პალატის პრეზიდენტებს წერილები გაუგზავნა. ატყობინებს, რომ უმაღლესის ბრძანებით რეიხსრატი დახურეთო.

**ლონდონი.** მეფემ მიიღო სერბიაში მყოფი ინგლისის ელჩი ბონგამი, რომელიც ინგლისს დაბრუნდა.

**ათინა.** თეოტონისი ხვალ წარუდგენს მეფეს შემდეგ სიას მინისტრებისას: თეოტონისი—მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი, ლომბარდო—შინაგან საქმეთა, გრივასი —სამხედრო, ლევიდისი—იუსტიციისა, სტეფანოპულოსი—სახალხო განათლებისა, სიმაპულოსი—ფინანსთა მინისტრი.

**კილი.** იმპერატორი ვილჰელმი დაესწრო საგანგებო სადილს. გამართა ეს სადილი ამერიკის ელჩმა ტოპერმა. ელჩმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და დალია სადღეგრძელო იმპერატორისა, დედოფლისა და მთლად საიმპერატორო სახლეულობისა.

**ვენა.** ჰედერვარიმ წარუდგინა იმპერატორს სია მინისტრებისა. იმპერატორმა მიიღო ლუკასი, დარანი, ვლასიჩი, ლანგი და პლოსსი დარჩნენ მინისტრებად. გენერალ კოლოსვარი გონვედთა მინისტრია, ტომასიჩი—მინისტრი კროატიის საქმეების გამო.

**ჯიბუტი.** მოლამ გაანადგურა სამოლიში, ბურასსა და ბიგოტლეს შუა ხუთი სიმაგრე. მოჰკლეს 29 ინგლისელი აფიცერი, ტყვედ წაიყვანეს 2000 ადგილობრივი ჯარის კაცი.

**ვაშინგტონი.** გერმანიის იმპერატორმა და რუზველტმა ერთმანეთს დეპეშები უძღვნეს.

15 ივნისს.

**პეტერბურგი.** 14 ივნისს ახალ პეტერგოფში აკურთხეს საძირკველი ვაჟების გიმნაზიის შენობისა. დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული.

**კოვნო.** შავლის ქალაქის საბჭომ დაადგინა გახსნას კომერციული შვიდ-კლასიანი სასწავლებელი საშუალო სასწავლებლების უფლებათა მინიჭებით.

**მოსკოვი.** სლავიანთა საზოგადოებამ დაადგინა სამუდამოდ დაცულ იქმნას თავიანთ სიებში საპატიო წევრობის სახელები სერბიის მეფე ალექსანდრესი და დედოფლის დრაგასი.

50 მასწავლებელნი 15 ივნისს ყირიმში მიდიან.

**პორტ არტური.** ტაკუსთან ბრძოლის მესამე წლის თავი დიდის ამბით იდღესასწაულეს. ომის გამო ადმირალმა ალექსეევმა დაათვალიერა წყნარ ოკეანეს ფლოტი. გემების დათვალიერების შემდეგ ადმირალმა ენერგიული პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა.

**ასხაბადი.** მიმოსვლა სახალხო მატარებლებისა შუა აზიის რკინის გზაზედ ისევ დაიწყო 12 ივნისს, საქონლის მატარებლისაკი—15 ივნისს.

**კილი.** ამერიკის ელჩის ტოუერის სადღეგრძელოზე იმპერატორმა უპასუხა ვრძელი სიტყვით ინგლისურს ენაზედ. სიტყვა ასე დაასრულა: „ვსვამ სადღეგრძელოს შტატების პრეზიდენტისას. ღმერთმან აკურთხოს თვით პრეზიდენტი და ის სახელმწიფო, რომლის წარმომადგენელიც იგია“.

**რომი.** პაპა კარგად ჰგრძნობს თავს და 14 ივნისს ბრიუსელის ელჩი მიიღო.

**ბელგრადი.** საფრანგეთის ელჩი ბელგრადს დაბრუნდა.

**ბერლინი.** დელკასე თან ახლდება პრეზიდენტს ინგლისში მოგზაურობის დროს.

**სტამბოლი.** სალონიკსა და დედეგაჩს შუა დინამიტით ააფეთქეს მატარებელი. მატარებელი, ლოკომოტივი და ლიანდაგი მცირედ დაზიანდა.

**სოფია.** აქაურ კონსულთა წრეებში საიმედო ცნობებია მიღებული კონსტანტინეპოლიდან, ოსმალოს ჯარები საზღვარზე მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში დააყენეს, რომ გზა შეუკრან მეამბოხეთა რაზმებს.—სულთანს გადაწყვეტილი აქვს დაიცვას მშვიდობიანობა, რადგან დარწმუნებულია, რომ ომიანობა ოსმალეთს სარგებლობას ვერ მოუტანს; მიუხედავად ამისა, საზღვრებიდან საშიში ხმები მოდის.

— თუმცა ბულგარიის სადიპლომატო აგენ-

---

მარჩენალია, ეს დიდი ინტერესი ადვილად მიიბირებს და წაახალისებს, თუ პრაქტიკული გზა დაინახა.

როდესაც ამ გვარად გლეხი ცოტათი წელში გაიმართება, როდესაც მისი მეურნეობა რამდენადმე გამაგრდება, მაშინ ჩვენს სასოფლო-სამეურნეო სკოლას დამთავრებულსაც ფეხ ქვეშ ნიადაგი გაუჩნდება და აღარ გაექცევა სოფელს. გვერდით ამოუდგება მამას და საქმით დაუმტკიცებს, რომ იგი ნამდვილი ბურჯია ოჯახისათვის. აღარც გლეხისაგან გავიგონებთ სასოფლო-სამეურნეო სკოლაზედ ასეთს სამწუხარო სამდურავს: „ტყუილად დროს ვაკარგვინებთ ჩვენს შვილებსა მაგ სასწავლებელში სიარულითაო; თუ კი ისევ შინ დაბრუნდებიან და კაცად არ იქცევიან, მაგისთანა სწავლა რა საჭიროაო *) თუ დღეს, როგორც მამა, ისე შვილი იმ რწმენისანი არიან, რომ ნამდვილი სწავლა და კაცად ქცევა ის არის, რომ ნასწავლი შინ აღარ დაბრუნდეს, მაშინ ორივე მამა-შვილი დარწმუნდება, რომ შეუდარებლად უფრო გამოსადეგი ყოფილა „შრომის ოფლი მიწას აწვიმო“, ვიდრე კანცელარიაში ქაღალდები სჯღაპნაო.

ლუარსაბ ლოლუა.

### ბერი ფილადელფი კიკნაძე.

1811 წ. 10 ივნისს განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე I საქართველოს კათოლიკოზ პატრიარქს ანტონს II ორი რესკრიპტი უბოძა: ერთით წარმოუგზავნა წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენი, მეორეთი დაითხოვა სამსახურიდგან და უბრძანა—რუსეთში წამობრძანდიო. ანტონი გაემგზავრა რუსეთში და საცხოვრებლად ნიჟნი-ნოვოგოროდი აირჩია, რადგან აქ მახლობლად ს. ლისკოვში სცხოვრობდნენ ვახტანგ VI-ის შთამომავალნი ბატონიშვილები, მისი ნათესავები.

1826 წ. მარტის 16 კათოლიკოსმა ანტონმა მოსწერა საქართველოს ეგზარხოსს იონას—ორი ბერი, ერთი მღვდელ-მონაზონი და ერთი იეროდიაკონი—გამომიგზავნეთ, რომ ქართულად იწირონ და მიდოცონ ხალხშიო“. დაუსახელა კიდეც მღვდელ-მონაზონი თეოფანე მაჩაბელი, დავით გარეჯის მონასტრის ხაზინადარი.

რამდენისამე წლის წინ იოანე ბოდბელის რჩევით ეგზარხოსმა იონამ თბილისის დარიის მონასტერში გადმოიყვანა ბერი ფილადელფი კიკნაძე.

ანტონ კათალიკოზს იონამ გაუგზავნა თეკლე ბატონიშვილის თანხმობით ფილადელფი ბერი და თან გაატანა იერო დიაკონი დანიელ მეტრეველი.

ანტონმა გამოუგზავნა იონას ამ ბერებისათვის გზის ხარჯი ოცი თუმანი.

ფილადელფი და დანიელი მოსკოვში მივიდნენ ივლისში. ამათი მოსკოვს მოსვლა რო გაიგო ანტონ კათალიკოსმა არხიმანდრიტს ათანასეს[1]) გაუგზავნა სახარჯოდ ათი თუმანი. ენკენისთვის გასულს ჩავიდნენ კათოლიკოსთან და ამათი გზის ხარჯი ხუთი თუმანი ბერების მოსაყვანი იზბოშჩიკს მისცეს.

1826 წლის ღვინობისთვიდგანვე ფილადელფის და დანიელს ხუთ-ხუთი თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა კათოლიკოზმა.

კათალიკოზმა შეუკერა კაბა-ანაფორები ფილადელფის და დანიელს (ოც-და-ცამეტი თუმანი დასჯდომია).

ოთხი თვე არ გავიდა, რომ 1827 წ. იანვრის 20 ფილადელფი ბერი საქართველოში გამოისტუმრა[1]) კათოლიკოზმა და საყვედური მისწერა იონას „ფილადელფი ჩემი გუნებისა ვერ გამოდგა, მოუსვენარიაო“.

იონა თავსა მართლულობს კათოლიკოზ ანტონთან წერილით 28 თებერვალს 1827 წელს, № 230, [2]) „თქვენის დის თეკლეს თანხმობით და იოანე ბოდბელ მიტროპოლიტის რჩევით გაახლეთ ფილადელფი ბეროთ“.

რა იყო ნამდვილი მიზეზი ფილადელფის ბერის ასე საჩქაროთ (ოთხი თვის შემდეგ) დათხოვნისა? ეს კითხვა ფრიად საინტერესოა და ჩვენის მოსაზრებით ასე უნდა განვმარტოთ: ჩვენ ვიცით არხეოგრაფიული კომისიის აქტების VI ტომიდგან, რომ მოსკოვში მყოფი ოქროპირ ბატონიშვილი 1826 და 1827 წლებში თავის სახლში თავს უყრის ქართველობას და ელაპარაკება საქართველოს განთავისუფლების საქმეზედ, სხვათა შორის დოდაევი და ფილადელფი ბერიც არიან მოხსენებულნი. ამიტომ ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ფილადელფი ბერი 1826 წ. ზაფხულში კარგა ხანს დარჩა ოქროპირ ბატონიშვილთან ვიდრე ნიჟნი-ნოვოგოროდში ჩავიდოდა ანტონ კათალიკოზთან რასაკვირველია თეკლე და თამარ ბატონიშვილების და სხ. საიდუმლო წერილებიც მიუტანა ფილადელფიმ და მათი სალაპარაკო საქართველოს აღდგენა იყო. ამიტომ კიდევ ეჭვი არა გვაქვს, რომ ანტონ კათალიკოზი ოსტატურად მოიქცა და ფილადელფი მართლა-კი არ დაიწუნა, არამედ ოქროპირ ბატონიშვილმა და სხვებმა სთხოვეს მას ფილადელფი ბერი საქართველოში გაესტუმრებინა, რადგან ფილადელფი ერთი უნიჭიერეს ქართველთაგანი და ფრიად განათლებული იყო იმ დროში; რა თქმა უნდა გულჩათუთქული ანტონ კათალიკოზი თანაუგრძნობდა ამ ხიფათიანს მოძრაობას.

ამავე აქტების VI ტომიდგან ვიცით, რომ ფილადელფი ბერს შეუთხზავს „საიდუმლო მეგობრობა“, ე. ი. დარიგება. თუ ვინ როგორ მოქცეულიყო სამშობლოს აღდგენის საქმეში, რომ ფილადელფი ბერი იმ დროის განათლებული ქართველობის სული და გული იყო.

რუსეთიდამ მოსული ფილადელფი ბერი იონამ შუა მთაში გაგზავნა, სადაც 1832 წლამდე დაჰყო. ამ ხანებში მასთან მიიყვანეს სასწავლებლად ჩვენი უკვდავი მამულიშვილი რაფიელ ერისთავი. 1830 წ. პოლშაში რომ აჯანყება მოხდა, ამ დროისთვისვე აჯანყებას დიდად ხელს უწყობდნენ საქართველოში მყოფი პოლონელები (ჩინოვნიკები) დუშეთში, ტფილისში, თელავში და სხ.

აჯანყება გამოამჟღავნა ევსევი ფალავანდოვმა. 1832 წ. 9 დეკემბერს. სწრაფმა გამოძიებამ ყველა შეთქმულობის მონაწილენი გამოაშკარავა და მათ შორის ორი ბერი—ფილადელფი და ტარასი ალექსიძე მესხიევიც. ორივენი დააპატიმრეს მეტეხის ციხეში, სადაც ფილადელფი ბერი უეცრად მიიცვალა 2 ენკენისთვეს 1833 წ. და ანდერძი არა დაუტოვებიარა; ამაზედ ციხის უფროსმა პოლკოვნიკმა შოსტენკამ აცნობა ეგზარხოსს იონას 6 სექტემბერს № 61 და ფილადელფის დანარჩენი ციხეში სახმარი ნივთები—გეოგრაფიული რუკები, დურბინდი, წიგნები და სხ. ფულათ დარჩა 94 მანათი—ყველაფერი წარუდგინა. მიცვალებულის ფილადელფის გვამს უპატრონა დარიის მონასტრის ბერმა იღუმენმა იონამ და დაასაფლავა ამავე მონასტრის ეზოში, სამრეკლოს სამხრეთით შესავალ კარებთან. ეგზარხოსმა იონამ ფილადელფის ფულიდგან 10 მან. 20 კაპ. იღუმენს იონას ჩააბარა მიცვალებულის დასამარხი ხარჯი, ხოლო დანარჩენი 83 მანეთი 80 კ. შუამთის მონასტერში მიაქცია ეკლესიის სასარგებლოდ. ყოველივე ესე დაწვრილებით აცნობა იონამ უწმიდესი სინოდის ობერპროკურორს ნეჩაევს[3]).

მღ. პ. კარბელაშვილი.

---

*) იხ. „წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელი“ «ივერია» № 114 1903 წ.

[1]) სამგზავროთ ორმოცი თუმანი ფული უბოძებია კათალიკოზს და ექვსი თუმნისა და რვა აბაზისაც სამგზავროთ უყიდნიათ—ჩანა, ტყავი, ქუდი, ჩექმა, ხელჯაგები. ჩულქები და თოკი.

[2]) ეს ცნობები ჩვენ ამოვკრიბეთ წ.-კით. საზოგად. მუზეუმის ხელნაწერი რვეულებიდამ № 1487.

[3]) იხ საქმე სინოდის კანტორისა 1833 № 3336.

ტი არ დასწრებია მეფე პეტრეს მოსვლის დღესასწაულებს, მაგრამ მას შემდეგ, როცა მეფემ ბულგარიის მთავარს ფერდინანდს ბელგრადში მომხდარი ამბავი შეატყობინა, ბოლგარიის მთავრობამ ინსტრუქცია მისცა თავისს აგენტს ხელ-ახლად განაახლოს დიპლომატიური დამოკიდებულება ახალ მთავრობასთანაო.

**ბრიუსელი.** სენატმა 71 ხმის უმეტესობით 7-ს წინააღმდეგ მიიღო შეთანხმება კონგოს რკინის გზის შესახებ.

**რომი.** სენატი. მორინმა სერბიის ამბების შესახებ შეკითხვაზედ უპასუხა, მთავრობა ისევე ზიზღს გრძნობს ამ ტრაღიკულ მკვლელობის გამო, როგორც იტალია და მთელი განათლებული ქვეყანა, სასტიკად ჰკიცხავს მკვლელებს, მაგრამ მთავრობას სრულებით აზრად არა აქვს ჩაერიოს ამ საქმეში, იგი მხოლოდ მაყურებელი იქნება ამ ამბებისა. მთავრობა იმ აზრისა უნდა იყვეს, რომ ბელგრადში მომხდარი ამბები--სერბიის შინაური საქმეებია. ეს მოსაზრება აიძულებს მთავრობას შორიდგან უყუროს სერბიის საქმეებს და ამავე პოლიტიკას მისდიოს ახალ მთავრობის მიმართ. (მოწონება).

**ათინა.** მინისტრთა სიაში შემდეგი ცვლილებები მოხდება: ლევიდისა—შინაგან საქმეთა მინისტრი, კარაგეროპულოსი—იუსტიციისა, სტეფანოპულოსი--ზღვათა მინისტრი, ლომბარდოსი—განათლებისა, თეოტოკისი დროებით სამხედრო მინისტრის ადგილს დაიჭერს.

**ცეტინიე.** მთავარი, მთავრინა და მემკვიდრე პრინცესა საზღვარ გარედ წავიდნენ.

**ტრომზე.** ჩრდილო პოლიუსის ექსპედიცია მოვიდა დრონტჰეიმიდან გემ „ამერიკა“-ით; გემზე აიყვანეს 210 ძაღლი და 5 პონი. გემი არხანგელსკში წავა, საიდანაც პირდაპირ ყინულის ქვეყნებში გაემართება.

**ვენა.** პეტრე მეფემ აუწყა ყოფილს დედოფალს ნატალიას, რაც ძველ სასახლეშია, ყველაფერი თქვენ გეკუთვნითო.

**ბელგრადი.** მეფის ტახტზე ასვლის შეტყობინებაზე უპასუხეს: იმპერატორებმა ვილჰელმმა და ფრანც იოსებმა, პრეზიდენტმა ლუბემ, რუმის მეფემ, ჩერნოგორიის მთავარმა და ბოლგარიის მთავარმა.

16 ივნისი.

**პეტერბურგი.** გენერალ ბოგდანოვიჩმა გვთხოვა გამოვაცხადოთ, რომ ამ დღეებში დაბეჭდილს წმ. სერაფიმ საროველის წიგნაკში, რომელიც უკვე დარიგდა დანიშნულებისამებრ, მე-22-ე გვერდზედ მცირე შეცდომაა: ნახევარ პალეკარტი ღირსის სერაფიმისა დაცულია გატჩინოს სასახლის ეკკლესიაში კი არა, არამედ დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის კარის ეკკლესიაში. წიგნაკის დარიგება შეჩერებულია, რათა შესაფერისი შესწორება გაუკეთდეს.

**განჯა.** ენზელიდგან დეპეშით იუწყებიან, აქ ძლიერი მიწის-ძვრა იყოო.

**მინსკი.** სესვიეის საოსტატო სემინარიაში გაიხსნა საპედაგოგიო კურსები სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის.

**რომი.** ალბანელი აგიტატორი ჟურნალისტი დერვიშინა საფრანგეთის საზღვარზედ გააძევეს.

**ბერლინი.** ახალ სტრელიციდგან „ლოკანზ“-ის ატყობინებენ,—დიდი მზადებაა მეკლენბურგ-სტრელიცის დიდ-ჰერცოგისა და მისის მეუღლის ალმასის ქორწილის გადასახდელადაო. ქვეშევრდომთ მათ საჩუქრად დაუმზადებიათ ალმასით მოოჭვილი სუფრის სამკაული.

**ბერლინი.** გუშინდელ უკანასკნელ ხელმეორე არჩევნებს ასეთი შედეგი მოჰყვა: 752 (?) კონსერვატორი, 16 იმპერიის დასისა, 9 ანტისემიტი, 100 ცენტრისა, 2 ჰოსპიტანტი, 51 ნაციონალ-ლიბერალი, 21 თავისუფალი მოაზრე კავშირისა, 81 სოციალ-დემოკრატი, 9 ელზასელი, 16 პოლონელი, 3 გველფი, 7 გლეხთა კავშირისა, 1 დანელი, და 11 ყოველ დასთა გარეშენი.

**ადენი.** ინგლისელთა დამარცხების ჯიბუტიდგან მოსულ ამბის შესახებ აქ არა იციანრა.

**კილი.** იმპერატორ ვილჰელმის პატივსაცემლად ამერიკის ფლაგმანთა გემ „კერსკარპე“-ზედ გამართულ საუზმის დროს ადმირალ კოტტონმა სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა იმ დახვედრისათვის, რომელიც კილში გაუწიეს ესკადრას და სმურით მიჰმართა იმპერატორ ვილჰელმს, რომელმაც მადლობა გადაუხადა და შეერთებულ შტატების პრეზიდენტის სადღეგრძელო დალია. იმპერატორმა „კერსკარპეს“ კაიუტ-კომპანიას ვერცხლის კათხა უბოძა.

**მადრიდი.** ბილბაო-სარაგოსსის მიდამოში რკინის გზის მატარებელი მდ. ნაგელილაში გადავარდა. ჰგონებენ,—ასზედ მეტი უნდა იყოს დაღუპულიო.

**ათინა.** დელიანისის დასის მომხრეთა 87 დეპუტატს დაუდგენია, მხარი დაუჭიროს დელიანისს ახალ კაბინეტის საწინააღმდეგოდ.

**ბელგრადი.** მეფემ სამხედრო მინისტრი ორდენთა კანცლერად დაჰნიშნა.

**სტამბოლი.** ბელგრადიდგან ოსმალეთის ელჩის გამოწვევას პორტასთან დაახლოვებულ წრეებში ისე ჰხსნიან, რომ ეს საქციელი ოსმალეთის მთავრობისა სრულიადაც არ მოასწავებს პეტრე მეფის საწინააღმდეგო დემონსტრაციის, არამედ მხოლოდ მეფის მკვლელობის დაგმობას და სამაგიეროს გადახდის მოლოდინსაო. აქ მყოფი სერბიის დესპანი სტამბოლიდგან არ წავაო.—პეტრე მეფემ აცნობა ხონთქარს თავისი ტახტზედ ასვლა. ხონთქარმა მეგობრული პასუხი შეუთვალა.—ექვსჯერ კიდევ მოხდა ჯგუფებთან შეტაკება. სალონიკ-სტამბოლის რკინის გზის ლიანდაგზე სადგურ დემირბეილის მახლობლად ამ სამის დღის წინად ნაღმიანი ყუმბარა აფეთქებულა. რელსები და ლოკომოტივი დაზიანებულია. უბედურება არავის შემთხვევია-რა. გამოძიება სწარმოებს. რამდენიმე ბულგარელი შეიპყრეს.

**ვენა.** მინისტრ-პრეზიდენტ გრაფ კუნ-ჰედერვარისა და აგრეთვე ვაჭრობათა მინისტრს კოლოსვარისა და ხორვატიის საქმეთა მინისტრს ფიცი მიაღებინეს. იმპერატორმა ახალ მინისტრებს სადღესასწაულო დარბაზობა გაუმართა და მოკლე სიტყვით მიჰმართა.

### პეტერბურგის ბირჟა, 13 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,80 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,32$^1/_2$ |
| ლონდონში ჩეკები | 94,50 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | — |
| პარიჟის დისკონტი | 5—6$^1/_4$ |
| 5% სახელმწიფო რენტა | 98$^3/_8$ მყიდ |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 100$^7/_8$ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულთ ბანკის | 95$^1/_8$ გაყ. |
| 5% შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 441$^3/_4$ წვ. გაყ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 339 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 288$^3/_4$ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4$^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 4$^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 9600 წვ გაყ. |
| აქციები ,, " " " | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 185$^1/_2$ წვ. გაყ. |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

**ბაქოს;** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

**ყარსსა და ერევანს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მოსავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 28 წ.

**ბათუმისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 28 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

**მორაპნისაკენ:** დღის 3 ს. 8 წ.

## განცხადება

## დაიკარგა

თათრის მოედანსა და რიყის ქუჩას შორის ვექსლების (ნისიების) წიგნი ზედ-წარწერით: **თელავში ალექსი რომანის ძეს სოლომონოვს.** ვსთხოვთ, ვინც იპოვოს, წარმოადგინოს სოლომონოვის ღვინის საწყობში, თამამშევის ქარვასლის ქვეშ და მიიღებს ღირსეულს ჯილდოს. (2—152—1)

### სია

იმ პირთა, რომელნიც არჩეულ იქნენ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრებად 1903 წ. 8 ივნისის წლიურ კრებაზედ.

(მიღებულ იქნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც სრულიად შემოიტანეს საწევრო ფული 6 მან.).

1, ავსარქისოვი იაკობ ფარსადანის ძე.
2, აბესაძე მღ. ივლიანე.
3, ამბროსი არქიმანდრიტი.
4, აბრამიძე ნოე ფილიპეს ძე.
5, ანდრონიკაშვილი ლევან გაბრიელის ძე.
6, არჩუაძე პავლე თევდორეს ძე.
7, აბაშიძე პეტრე პაატას ძე.
8, აბაშიძე გრიგოლ კონსტანტინეს ძე.
8, ანტონოვი დონ-მიქაელ.
10, აბშილავა ლუკა.
11, ასათიანი მღ. გიორგი,
12, აგლაძე ილია სვიმონის ძე.
13, ბაქრაძე გიორგი.
14, ბერძენიშვილი ექვთიმე.
15, ბაკურაძე მღ. ირაკლი.
16, ბეჟანიშვილი ნესტორ იოსების ძე.
17, ბერულავა ბაგრატ.
18, ბერულავა იოსებ.
19, ბურჭულაძე გრიგოლ იესეს ძე.
20, ბარკალაია გიორგი თეიმურაზის ძე.
21, ბერიძე ბიქტორ გიორგის ძე.
22, ბოკერია ლევან დიმიტრის ძე.
23, გორდაძე გიორგი თევდორეს ძე.
24, გიორგაძე ფრანჩისკე გრიგოლის ძე.
25, გუნდიაშვილი ალექსანდ. ელიზბარის ძე.
26, გეთაშვილი ვასილ.
27, გორგასლიძე ანნა.
28, გუგუშვილი ალექსი.
29, გაბუნია ღომენტი.
31, გიორგაძე ივლიანე გიორგის ძე.
32, გედევანიშვილი იოსებ კონსტ. ძე.
33, გალუსტოვი ალექსანდრე ზაქარიას ძე.
34, გუგუშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე.
35, გაჩეჩილაძე მიხეილ სპირიდონის ძე.
36, გამყრელიძე კონსტანტინე იოსების ძე.
37, გაბელია ევგენი დუგეს ძე.
38, გელოვანი პლატონ ლევანის ძე.
39, გრიგოლია იონა.
40, დავიდოვი მიხეილ.
41, დარჩია ფილიპე ნიკოლოზის ძე.
42, დგებუაძე დიმიტრი ნიკოლოზის ძე.
43, დევიძე მღ. ლავრენტი.
44, დოლაბერიძე მღ. ვასილ.
45, დევიძე მღ. სამსონ.
46, ესიავა პეტრე.
47, ერისთავი ანდრია მიხეილის ძე.
48, ზებედაშვილი იაკობ ზებედეს ძე.
49, თუმანიშვილისა კნ. მარიამ ალექსანდრეს ასული.
50, თვალჭრელიძე ანტონ ივანეს ძე.
51, თუმანიშვილი ალექსანდრე ალექ. ძე.
52, თუმანიშვილი ალექ. პავლეს ძე.
53, თურქია გიგო.
54, თურქია ნინო.
55, თუთბერიძე გალაქტიონ.
56, თევზაია სოლომონ პეპოს ძე.
57, იოსელიანი ნესტორ ნიკოლოზის ძე.
58, ივანიშვილი იოსებ ანდრიას ძე.
59, იაშვილი პეტრე ივანეს ძე.
60, იაშვილი ჯიბრაილ დავითის ძე.
61, იაშვილისა ბარბარე ყარამანის ასული.
62, კანდელაკი ნინო ნიკოლოზის ასული.
63, კალოიანი ი.
64, კოხრეიძე ალექსანდრე ილარ. ძე.
65, კორინთელი ვლადიმერ ალექ. ძე.
66, კობიაშვილი გიორგი ივანეს ძე.
67, კასრაძე სიმონ ნიკოლოზის ძე.
68, კაკაბაძე კონსტანტინე მოსეს ძე.
69, კილაძე დიომიდე.
70, ლორთქიფანიძე კონსტანტინე ფარნაოზის ძე.
71, ლაზარაშვილი გიორგი ანდრიას ძე.
72, ლაზარაშვილისა ეკატერინე გიორგის ასული.
73, ლოსაბერიძე სპირიდონ მიხეილის ძე.
74, ლოლუა ანდრია დავითის ძე.
75, ლოლუა ერისტო.
76, მელიქიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე.
77, მაყაშვილი ლეონიდ ივანეს ძე.
78, მაისურაძე გიორგი იოსების ძე.
79, მიშჩენკო მიხეილ პლატონის ძე.
80, მჭედლიშვილი ნიკო.
81, მირიანაშვილი მღ. ესტატე.
82, მაღრაძე კორნელი ლუკას ძე.
83, მესხი ნიკოლოზ ვასილის ძე.
84, მაქარაშვილისა ქეთევან დურმიშხანის ასული.
85, მხეიძე ილია სპირიდონის ძე.
86, მაღრაძე მღ. ლუკა 100 მან.
87, მუხრანსკი დავით გიორგის ძე.
88, მარგიანი მღ. იოანე.
89, მახარობლიძე მღ. ბესარიონ.
90, ბაქრაძე მღ. დეკ. ესარტი.
91, მრევლიშვილი გიორგი რომანოზის ძე.
92, მუსხელაშვილი ვახტანგ სოლომონის ძე.
93, მაჭავარიანი დავით პაატას ძე.
94, მიქაბერიძე კონსტანტინე იოსების ძე.
95, მაღნარაძე კაცია.
96, ნიჟარაძე იოსებ პაატას ძე.
97, ნიჟარაძე ივანე ბესარიონის ძე.
98, ნიკოლოზ ბერი.
98, ნიჟარაძე თ. ვალერიან იაგორის ძე.
100, ოთხმეზური ნიკოლოზ გაბრიელის ძე.
101, ქვანია ანდრია პეტრეს ძე.
102, რუხაძე ვარლამ ალექსანდრეს ძე.
103, სააკაშვილი პეტრე.
104, სააკაშვილი ედუარდ ზაქარიას ძე.
105, სალაყაია ვლადიმერ.
106, საბახტარაშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე.
107, ტარასოვი მიხეილ გიორგის ძე.
108, უტურაშვილი აბრამ ილიას ძე.
109, ფურცელაძე ქეთევან.
110, ქარომიძისა ანნა მიხეილის ასული.
111, ქარცივაძე დავით ერდიშხანის ძე.
112, ქავთარაძე გიორგი ლევანის ძე.
113, ღამბაშიძე ტრიფონ.
114, ლოლოია იონა.
115, ყიფიანი დიმიტრი ალექსანდრეს ძე.
116, ყარაშვილი კონსტანტინე.
117, ყაზახაშვილი გიორგი ალექსის ძე.
118, ყიფშიძე მიხეილ ივანეს ძე.
119, შენგელია კარპე ფირანის ძე.
120, შუბნაშვილისა—ზუბცოვისა მართა.
121, ჩაკვეტაძე პავლე ნიკოლოზის ძე.
122, ჩაჩანიძე გრიგოლ.
123, ჩიმაკაძე იაკობ გიორგის ძე.
124, ჩარექაშვილი გიორგი პეტრეს ძე.
125, ჩიკვაიძე ნიკოლოზ მიხეილის ძე.
126, ჩეკურიშვილი დავით ივანეს ძე.
127, ჩხეიძე ალექსანდრე.
128, ჩიქოვანი ტარიელ.
129, ჩიხლაძე ბასილ.
130, ჩერქეზიშვილი თ. ივანე ონისიმეს ძე.
131, ჩხეიძე გიორგი გიორგის ძე.
132, ჩაჩანიძე ლეონტი გრიგოლის ძე.
133, ცაგარეიშვილი დეკ. გაბრიელ.
134, ციცქიშვილი მღ. ქრისტეფორე.
135, ციციშვილი ალექსანდრე თავ. ნიკოლოოზის ძე.
136, წულუკიძე ვანო.
137, წერეთელი ილიკო.
138, წერეთელი სოლომონ.
139, წერეთელი ვასილ ჯიბრაილის ძე.
140, წერეთელი ტერენტი.
141, ჭრელაშვილი ნიკოლოოზ იოსების ძე.
142, ჭავჭანიძე ერასტი ივანეს ძე.
143, ჭეიშვილი სიმონ ზაქარიას ძე,
144, ჭოლოშვილი გიორგი კონსტ. ძე.
145, ჭანტურია ავქსენტი.
146, ჭიპაშვილი მღ. ლუკა.
147, ხელაია მღ. პორფირე.
148, ხარაშვილი ილია მიხეილის ძე.
149, ხუციძე კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე.
150, ხოფერია ბესარიონ ლუკას ძე.
151, ხიზანაშვილი დავით ვასილის ძე.
152, ხიდაშელი მღ. ვასილი.
153, ჯუმუხაძე გიორგი დავითის ძე.
154, ჯუმუხაძე დიმიტრი დავითის ძე.
155, ჯუმუხაძისა ანნა ივანეს ასული.
156, ჯაფარიძე გიორგი კონსტანტინეს ძე.
157, ჯაფარიძე ვარლამ.
158, ჯაფარიძე თ. გიორგი ზაქარიას ძე.
159, ჯიჯავაძე თამარა დავითის ასული.
160, ჯაფარიძე ტრიფონ იასონის ძე.
161, ჯაფარიძე გრიგოლ როსტომის ძე.
162, ლოლაძე დიმიტრი ივანეს ძე.
163, ცინცაძე გიორგი.
164, ვარდიაშვილი მღ. დიმიტრი.
165, ფხაკაძე იაკობ.
166, ვარდიაშვილი იაკობ გიორგის ძე.
167, ქიქოძე ნინო.
168, მოდებაძე კარპე.
169, კანდელაკი რაჟდენ იოსების ძე.
170, საჯია მიხოსტრი.
171, რეკვავა პეტრე.
172, თათარაშვილი დიმიტრი.
173, ძნელაძე დიმიტრი.
174, რაცმია დიმიტრი.
175, პოლუმორდვინოვი ივანე ტიმ. ძე.
176, კახიანი გიორგი ნიკოლოზის ძე.
177, მჭედლიშვილი ბეჟან იოსების ძე.
178, ივანაშვილი ივანე ალექსის ძე.
179, რატიანი გარსევან გიორგის ძე.
180, გომელაური ანდრია სოლომონიძ ძე.
181, ჯაფარიძე რაჟდენ ბარძიმის ძე.
182, ჩხეიძისა სოფიო სვიმონის ასული.

## ტფილისის ქალაქის
## გამგეობა

აცხადებს, რომ ქალაქის გამგეობაში ნაშუადღევის 1 ს., 20 ივნისს, **საჯარო ვაჭრობა** მოხდება: იჯარით გაიცემა 3 საქალაქო ბუდკა. ეს ბუდკები გამართულია: 1) ალექსანდრეს ბაღის ქვემო ნაწილში, 2) მე-5 ნაწილში პუშკინის ქუჩაზე და 3) მე-3 ნაწილში ბაზრის ქუჩაზე. ყოველ ბუდკისათვის ცალკე ვაჭრობა მოხდება. მსურველთ შეუძლიანთ ყოველ საქმე დღეს, დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 ს-მდე, გამგეობის მე-7 განყოფილებაში პირობები გასინჯონ; ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, მოვალეა ვაჭრობის დღეს 50 მან. წარმოადგინოს ბედ. განცხადების წარდგენა დაბეჭდილ კონვერტითაც შეიძლება ვაჭრობის დაწყებამდე. (2—6.—1)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

## ახალი წიგნაკი

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

| | |
|---|---|
| **სიმღერა** აკაკისა. ფასი | 15 ,, |
| **თამარ მეფის სურათი** აკაკის ლექსით | 6 ,, |
| **პატარა ჩონგური** ლექსი (დედა-ენა) | 5 ,, |
| **თამარ მეფე** მოთხრობა აკაკისა | 5 ,, |
| **ვაჭრული ჭკუა,** ლექსი აკაკისა | 5 ,, |
| **დათუნა გოცირიძე**<br>**როსტომ ერისთავი** { ძველებური ამბავი აკაკისა | 5 , |
| **აბრამის და იობის** ლექსი | 3 ,, |
| **ოქრუა** (ხალხური ზღაპარი) | 5 ,, |
| **ორი ძოსატყუილა**<br>**ბიჭია მენახირე**<br>**მეფე და სკვინჩა** { ხალხური ზღაპარი. | 10 ,, |

ვინც მოისურვებს ამ წიგნების ყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіавская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

**გამოვიდა და იყიდება ყველგან**

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

## ბარტეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

ისყიდება იაფად

## როიალი

არტილერიის ქუჩა № 5 ეზოში, ზემო სართულში.

ადრესი: „ჯეჯილის“ რედაქციაში.

(5—6—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 іюня 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе, дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯაშვილი.